პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 მარტი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 63 (14667)

მანევრების მონაწილე ჯარების საბრძოლო ტექნიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ПРАВДА

14 მარტის მოწინავე

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ ᲓᲦᲔ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ.

17 მარტი სამშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი № 63 (14667)

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ!

ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ „ᲓᲕᲘᲜᲐ“ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ჯარის მანევრები „დვინა“, რომელიც ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოეწყო.

მანევრები იყო პატაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი იმის შესახებ, რომ გაიზარდა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება და ისინი მზად არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

გულთბილი და გულითადი იყო მეომრების შეხვედრები ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობასთან. ეს შეხვედრები გაიმართა მანევრების დროს და ხალხისა და არმიის ურღვევი ერთიანობის აღმფრთოვანებელ დემონსტრაციად გადაიქცა.

მანევრების შედეგების შეჯამებაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ. ამხანაგი ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ დაესწრო ჯარების დათვალიერებას ბელორუსიის სსრ დედაქალაქ მინსკში. მშრომელები და საბჭოთა მეომრები გულთბილად შეხვდნენ მას.

მანევრებს დაესწრნენ ბელორუსიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის, აგრეთვე რესპუბლიკის ოლქებისა და ქალაქების ხელმძღვანელები.

(საკდესი).

ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

მინსკი, 15 მარტი. (საკდესი). გულთბილად და გულითადად, როგორც უახლოეს მეგობრებს, შეხვდა სამეზის ორდენოსანი ბელორუსია საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ „დვინის“ ზამთარ-გაზაფხულის უდიდეს მანევრებში. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მშრომელთა შეხვედრები ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. ეს შეხვედრები მკაფიოდ მოწმობს არმიისა და ხალხის დიად ერთიანობას. 15 მარტს ბელორუსიის დედაქალაქმა თავისი მოვლენები და პროსპექტები დაუთმო იმ ჯარების დათვალიერებას, რომლებიც მონაწილეობდნენ „დვინის“ მანევრებში. დამთავრდა ცხარე სახმელეთო და საჰაერო „ბრძოლები“, ეერიმები და კონტრეერიშები, რომლებმაც ჯარისკაცებისა და სერჟანტებისაგან, ოფიცრებისა და გენერლებისაგან ძალების უდიდესი დაძაბვა მოითხოვა. და აი ახლა „ჩრდილოელები“ და „სამხრეთელები“ ერთად შეიკრიბნენ.

ჯარები ჩამწკრივდნენ ლენინის პრესპექტზე.

დილის 11 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲘ. მათთან ერთად არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. ᲒᲠᲘᲩᲘᲙᲘ და სხვა მხედართმთავრები, ბელორუსიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები.

დათვალიერებას ესწრებიან მეგობარი თანამებრძოლები — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის წარმომადგენლები და ამ ქვეყნების სამხედრო ატაშეები.

ბელორუსიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ᲞᲐ. მ. ᲢᲠᲘᲤᲘᲜᲘᲜᲘ უპატაკებს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს არმიის გენერალს ᲞᲐ. ᲒᲐ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ. არმიის გენერალმა ჩამოუარა ჯარებს და მიესალმა მეომრებს. პასუხად ქუხს მძლავრი ჯარისკაცული „ᲕᲐᲨᲐ!“

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. ᲒᲠᲘᲩᲘᲙᲘᲡ. მან აღნიშნა, რომ „დვინის“ საერთო-საჯარისო მანევრები იყო სერიოზული გამოცდა ჩვენი არმიისათვის, იყო ანგარიში საბჭოთა ხალხის წინაშე, რომ შეიარაღებული ძალები მზად არიან შეასრულონ სამშობლოს ყოველი დავალება მისი უშიშროების დასაცავად.

ლენინის დიადი საქმისადმი ერთგულება, მისი ანდერძისადმი ერთგულება, სამშობლოს ბედისათვის პირადი პასუხისმგებლობის ღრმად გაგება მატებდა მეომართა გულს ენერგიას და განმსჭვალავდა მტკიცე გადაწყვეტილებით ყოველი ღონე იხმარონ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

ზამთარ-გაზაფხულის რთულ პირობებში სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის. პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა. მამაცობა და ამტანობა, შეუპოვრობა თავდაცვის დროს, სიმტკიცე და, გამბედაობა შეტევის დროს. მოტმსროლები და ტანკისტები, მფრინავები და მედესანტეები, მერაკეტები და არტილერისტები, მესანგრეები და მეკავშირეები, წვრთნის ყველა მონაწილე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მხედრულ მოვალეობას, გვიჩვენა შესანიშნავი მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებები. მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა და შტაბების ოფიცრებმა ცხადყვეს მაღალი ოსტატობა და უნარი უხელმძღვანელონ დივიზიებსა და პოლკებს რთულ ვითარებაში.

ამხანაგმა ა. ა. გრეჩკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯარების წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით შესრულდა, მანევრების მიზნები მიღწეულია.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს უნარიანი და თავდადებული მოქმედებისათვის მანევრების დროს, უსურვა ახალი მიღწევები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, საბჭოთა შეიარაღებულ

(დასასრული მე-2 გვ.).

მინსკი. 15 მარტი. „დვინის“ მანევრების მონაწილე ჯარების დათვალიერება. სურათზე: ცენტრალურ ტრიბუნაზე დათვალიერების დროს.
საკდესი. (შოლტულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲐ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ „ᲓᲕᲘᲜᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

მინსკი, 15 მარტი. (საკდესი). ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს ჯარის მანევრების „დვინის“ მონაწილე საბჭოთა არმიის მეომრების პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲘ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. ᲒᲠᲘᲩᲘᲙᲘ, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეულობათა მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირადი სტუმარი ავღანეთის არმიის პოლკოვნიკი, მისი ცენტრალური კორპუსის მეთაური სარდარ აბდულ ვალი.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით სტუმრებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲘ.

დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. ᲒᲠᲘᲩᲘᲙᲘᲡ.

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

მინსკი, 15 მარტი. (საკდესი). დღეს მინსკიდან გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ, რომელიც აქ იმყოფებოდა ბელორუსიაში გამართულ „დვინის“ ჯარის მანევრებთან დაკავშირებით.

• • •

იმავე დღეს ამხანაგი Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ მოსკოვში დაბრუნდა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲔᲜᲐ ᲤᲝᲙᲘ

16 მარტს მოსკოვში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ენე ფოკი.

ენე ფოკთან ერთად ჩამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მატიაშ ტიმარი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ინრე პალი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით სტუმრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 16 მარტს საპასუხო ოფიციალური ვიზიტით პრაღას გაემგზავრა. (საკდესი).

ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ

ლაოსში ვითარების გამწვავების გამო, რაც გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევით ამ ქვეყნის საქმეებში, რომლის ნეიტრალიტეტი გარანტიებულია ჟენევის 1962 წლის შეთანხმებით ლაოსის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲛᲐ წერილი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს.

იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, მხარი დაუჭირა წინადადებას ჟენევის შეთანხმებათა ხელმოწერ სახელმწიფოთს შორის კონსულტაციების მოწყობის შესახებ, ა. ნ. კოსიგინის წერილში ნაჩვენებია ამ წინადადების არარეალისტურობა ახლანდელ ვითარებაში, როცა შეერთებული შტატები განაგრძობენ ომს ვიეტნამში, აფართოებენ შეიარაღებულ ჩარევას ლაოსის საქმეებში, როცა კოალიციური მთავრობა, რომელიც ვიეტნამში შეიქმნა ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესაბამისად, პარალიზებულია მემარჯვენე ძალების მოქმედების შედეგად.

ლაოსში მშვიდობის აღდგენის საქმე, — ადნიშნულია წერილში, — ჩანს, უნდა დაწყებულიყო კონსულტაციებით ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს შორის. მოწესრიგების ხუთი პუნქტისაგან შემდგარი კონკრეტული და ფრიად რეალისტური პროგრამა წამოაყენა ამ დღეებში ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა. როგორც ამ პროგრამიდან გამომდინარეობს, ყველა ქვეყნის პატივისცემა ლაოსის სამეფოს სუვერენიტეტისადმი, დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა დებულებების შესაბამისად, ლაოსის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის, კერძოდ, ლაოსის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტა, ლაოსის უარი სხვა ქვეყნებთან სამხედრო კავშირებში მონაწილეობაზე და ლაოსში უცხოეთის ჯარებისა და ბაზების განლაგების არდაშვება, ტახტისადმი პატივისცემა, ეროვნული კრების საყოველთაო თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოწყობა და ეროვნული ერთიანობის დემოკრატიული მთავრობის შექმნა, მშვიდობის აღდგენიდან საყოველთაო არჩევნებამდე მერიოდის განმავლობაში პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მოწყობა ლაოსის დაინტერესებულ. მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით ქვეყნის მთელი საქმეების მოსაწესრიგებლად და დროებითი კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, ლაოსის გაერთიანება ლაოსის მხარეთა შორის კონსულტაციების გზით თანასწორობისა და ეროვნული თანხმობის პრინციპის საფუძველზე — გამოიწვევდა მშვიდობის აღდგენას ლაოსში. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭირო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უახლოეს დროში ბოლო მოუღონ ომის ესკალაციას და მთლიანად და პირობის დაუთქმელად შესწყვიტონ ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნას პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ლაოსის დაინტერესებულ მხარეებს შეხვდნენ ერთმანეთს.

ამრიგად, — ნათქვამია შემდეგ ა. ნ. კოსიგინის წერილში, — საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ შეწყდეს ამერიკის ჩარევა ლაოსის საქმეებში, რომ ვიეტნამმა არ გადაუხვიოს ნეიტრალიტეტის პოზიციას, რაც ვათვალისწინებულია ჟენევის შეთანხმებით.

ჩვენ მივესალმებით პრინცპს სუვანა ფუმასა და სუფანუვონგს შორის დასახულ კონტაქტებს და მივვაჩნია, რომ ეს სწორედ ის გზაა, რომელიც ამერიკის ინტერვენციის შეწყვეტის შემთხვევაში საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ დაძაბულობის შენელება ლაოსში და შექმნათ პირობები პოლიტიკური მოწესრიგებისათვის ამ ქვეყანაში.

რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი თავის მხრივ კვლავაც იხმარს ღონისძიებებს, რათა საომარი მოქმედება ლაოსში შეწყდეს და შეიქმნას პირობები, რომ ეს ქვეყანა განვითარდეს მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის გზით. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

16 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი განაგრძობდნენ მოლაპარაკებას კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურთან პრინც ნოროდომ სიანუკთან.

საუბრის მსვლელობაში, რომელიც გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, საბჭოთა და კამბოჯელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და კამბოჯის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამერიკელი იმპერიალისტების აგრესია ვიეტნამში, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ლაოსში, ამერიკისა და საიგონის ჯარების პროვოკაციები კამბოჯის წინააღმდეგ და კამბოჯის ნეიტრალიტეტის დარღვევა იმის მთავარი მიზეზია, რომ გაუწყვიტდა ვითარება ინდოჩინეთში და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენისა და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების გაჯანსაღებისათვის საჭიროა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამში და ინტერვენცია ლაოსში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა ხელი აიღონ კამბოჯის მიმართ პროვოკაციების პოლიტიკაზე და ყველა სახელმწიფომ პატივი სცეს მის ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საბჭოთა მთავრობამ კვლავ დადასტურა, რომ პატივს სცემს კამბოჯის ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მისი ახლანდელი საზღვრების ფარგლებში და განაცხადა, რომ კამბოჯას, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი ეროვნული ლიდერი სამდგე ნოროდომ სიანუკი, შეუძლია კვლავაც იქონიოს საბჭოთა კავშირის ყოველგვარი მხარდაჭერის იმედი იმპერიალისტური პროვოკაციისა და მის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

მხარეებმა ერთობლივი აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის პრინციპები წარმატებით ვითარდება პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში. მხარეები შეთანხმდნენ დაველოონ სსრ კავშირისა და კამბოჯის შესაბამის უწყებებს შეიმუშავონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-კამბოჯის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲘᲛᲒᲠᲐᲤᲘᲐ

მოსკოვი. გამომცემლობა „მისლმა“ გამოუშვა მონოგრაფია „ვ. ი. ლენინის მიერ სოციალიზმისა და კომუნიზმის იერარიული თეორიის განვითარება“. ეს გამოკვლევა ავტორთა დიდმა კოლექტივმა შექმნა.

ᲛᲘᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

როსტოვის ოლქის ვეშენსკაიას რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ხიღნალის რაიონის მშრომელებთან. ამ დღეებში ვეშენსკაიას რაიონის წარმომადგენლები ეწვივნენ თავიანთ ხიღნალელ თანამოსაქმეებს. ისინი აქ გაეცნენ რაიონის ცხოვრებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, გაიფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შემოწმება ეთხოვათ გაზეთ „კომუნისტისა“ და როსტოვის საოლქო გაზეთის „მოლოტის“ რედაქციებს.

გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა Ვ. Ა. ᲨᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ მიიღო როსტოვის ოლქის ვეშენსკაიას რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან: პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მეორე მდივანი Ა. ᲙᲝᲚᲔᲪᲝᲕᲘ, რაიონის სოფლის მეურნეობის საამმართველოს უფროსი Გ. ᲡᲐᲛᲝᲘᲚᲔᲜᲙᲝ, რაიონულ გაზეთ „სოვეტსკ დონის“ რედაქტორი Ვ. ᲩᲣᲞᲐᲩᲘᲜᲘ, მოსკოვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი Ნ. ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝ, შოლოხოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი Ა. ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ, კოლეგიონსკის საბჭოთა მეურნეობის მეელორეობის ფერმის მრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი Დ. ᲒᲝᲙᲝᲕᲘ.

ამხ. მეავანაძე გულთბილად ესაუბრა სტუმრებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებებზე, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. ამხ. მეავანაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და კერძოდ ამ ორი რაიონის მშრომელთა მეგობრობის დიდ მნიშვნელობას.

მიღებას დაესწრნენ: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი Დ. ᲛᲔᲥᲕᲔᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ, საქართველოს კომპარტიის ხიღნალის რაიკომის პირველი მდივანი Დ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მშრომელთა დეპუტატების ხიღნალის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე Მ. ᲙᲐᲠᲐᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მშრომელთა დეპუტატების ხიღნალის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საამმართველოს უფროსი Გ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. (საკდესი).

მოვალეობა და პასუხისმგებლობა

დ. გელაშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

ყოველთვის, როცა ცხოვრება ქვეყნისა და ხალხის წინაშე აყენებდა დიდ, პასუხსაგებ ამოცანებს, პარტია, უწინარეს ყოვლისა, მოუწოდებდა კომუნისტებს. და ისინიც, ხამშობლის ეს მგზნებარე პატრიოტები, ძალებს არ ზოგავდნენ მათ გადასაწყვეტად.

ასეა ახლაც. როგორც ცნობილია, პარტიის XXIII ყრილობამ გამოიმუშავა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების გეგმები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. ამიტომ ამეამად თვითეული კომუნისტისადმი მთავარი მოთხოვნაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

კომუნისტი თავის ყოველ ნაბიჯს უნდა უთანხმებდეს სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გვიჩვენოს მაგალითი საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იშრომოს სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესასრულებლად, გამოვიდეს შრომის ახალი, პროგრესული მეთოდების გავრცელების ინიციატორად, გაუფრთხილდეს და ამრავლოს სოციალისტური საკუთრება, იბრძოლოს სოციალისტური ზნეობის პრინციპების დანერგვისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა, საზოგადოებრივ მეურნეობათა კოლექტივების ცხოვრება და მოღვაწეობა იძლევა შრომითი გმირობის ბევრ განსაკუთრებულ მაგალითს. კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში, დგანან წარმოების ალმოვლობისათვის ბრძოლის ავანგარდში.

დიდი შრომითი წარმატებები მოიპოვეს შარშან, მაგალითად, თბილისის კერამიკული კომბინატის, ჭუთაისის ლითონფონის ქარხნის, სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნის, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკისა და სხვა შრომითა კოლექტივებმა, რომელთა ბირთვს კომუნისტები შეადგენენ. საერთოდ რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა გასული წლის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა დიდძალი მარგანეცი, ქვანახშირი, კოქსი, ქაღალდი, შალის ქსოვილი, ჩაი, ღვინო და სხვა პროდუქცია.

ხუთწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ ჩვენი მშენებლები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, შარშანდელი არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, წარმატებთან შეასრულეს სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 231.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის 110 პროცენტი. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მახარაძის, ზუგდიდისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა, ბევრმა კოლმეურნეობამ და სახელოთა მეურნეობამ, მრავალმა მეჩაიემ.

მეჩაიეებს არ ჩამორჩნენ ჩვენი სახელოვანი მევენახეები, რომლებმაც სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 50.675 ტონა ყურძენი. გურჯაანელმა მევენახეებმა დავალება 101,7 პროცენტით განაღვიდეს, თელავის რაიონის მევენახეებმა კი — 115,7 პროცენტით.

ახალი მიღწევები იქნა მოპოვებული მეხილეობის განვითარების საქმეშიც. უველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ამ მხრივ გორისა და ქარელის რაიონების მეხილეებმა, რომლებმაც ხილის დამზადების გეგმა შესაბამისად 118 და 117,5 პროცენტით შეასრულეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათი გავლენის გაფართოებას, კომუნისტების, ყველა მშრომელის თავდადებულ მუშაობას, ადამიანებისათვის მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გაძლიერებას.

როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1969 წ.) პლენუმზე ითქვა, კომუნისტი უნდა იყოს მაღალი მაგალითი ყველგან და ყველასთვის — სამუშაოზე, შინ, ყოფაცხოვრებაში... როცა ჩვენ ვამბობთ, რომ თავმდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს, ამით ბაზს ვუსვამთ, რომ მთელი თავისი ქცევით წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში კომუნისტი ვალდებულია გვიჩვენებდეს მაღალ ნიმუშს ბრძოლისა კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს.

ავანგარდული როლის განხორციელების მაგალითს უნდა უჩვენებდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

ჩვენმა პარტიამ გამოზარდა დიდი არმია ხელმძღვანელებისა, რომლებიც ფლობენ მაღალ პოლიტიკურ, საქმიან და მორალურ თვისებებს, გამოდიან მშრომელთა ნამდვილ აღმზრდელებად. ასეთი ხელმძღვანელებიდან იღებენ მაგალითს. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ზოგიერთ მათგანს მოუდუნებია პასუხისმგებლობის გრძნობა მინდობილი საქმისადმი. ხოლო პრეველადი პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ მათ სათანადოდ არ სთხოვენ, ფრიგდებიან პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი კომუნისტი, რომელთა შორის ხელმძღვანელი მუშაკებიც არიან, ზოგჯერ ვერ გრძნობენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც მას პარტია აკისრებს, არც თუ იშვიათად ჩამორჩება ობიექტი, რომელიც ისინი ხელმძღვანელობენ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ნავსებით სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებულნი მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და კავშირგაბმულობის სამინისტროების ხელმძღვანელები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად უძღვებიან თავიანთ სამოქმედო უბნებს. ამ სამინისტროთა მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ გეგმებს, ყოველივის როდი აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია. ცალკეულ საწარმოებში დაბალია შრომის დისციპლინა. ნაკლებია ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

თვითეული კომუნისტი, განსაკუთრებით კი კომუნისტი ხელმძღვანელი ვალდებულია პირანთლად ასრულებდეს პარტიისა და მთავრობის დავალებებს, მკაცრად იცავდეს შრომისა და საწარმოო დისციპლინას, თავლსაჩინივით უფრთხილდებოდეს სოციალისტურ საკუთრებას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სისტემატურად ამაღლებდნენ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გრძნობას თავისი ორგანიზაციისა და მთლიანად პარტიის საქმისათვის, იყონ მომთხოვნი ყველასადმი, არ დაუშვან ლმობიერება ამათ მიმართ, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ივიწყებს თავის პარტიულ მოვალეობას და მიიჩნევა, რომ მას პარტიის წევრობა პრივილეგიას უნდა აძლევდეს.

დისციპლინა ჩვენს პარტიაში ერთია ყველასათვის. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მუდმივ ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმას, რომ თვითეული კომუნისტი, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, თავისი მაღალი ორგანიზებულობითა და დისციპლინით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი მომთხოვნელობით ადამიანებში ზრდიდეს კომუნისტის აქტიური მშენებლის თვისებებს, იყოს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი თავის ყოველდღიურ მოღვაწეობაში დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, შინაპარტიული ცხოვრების გაკაკეთილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. პარტიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული კომუნისტები ახლა უკეთესად არიან განაწილებული სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში. მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილია პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. მათს ძირეულ რგოლებში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ამეამად თავის რიგებში 289 ათასამდე კომუნისტს ითვლის. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ კომუნისტთა რიცხვი. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები მომავალშიც დიდი მზრუნველობით მოეკიდებიან თავიანთი რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, პარტიული კოლექტივების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, რადგან ამაზე და სწორედ ამაზე არის დამოკიდებული ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელება.

ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გაძლიერეს მუშაობა სოციალისტური საკუთრების დასაცავად. გაძლიერდა ბრძოლა საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამ საქმეში უშვებს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დაბახჯებებს, სათანადო კვალიფიკაციას არ აძლევს ცალკეული კომუნისტების მიერ ჩადენილ დანაშაულს. უფრო მეტი. მათ მიმართ იღებენ ლიბერალურ დადგენილებებს, ანდა სრულებით არ მსჯელობენ კომუნისტთა მიერ ჩადენილი უღირსი საქციელის შესახებ. მაგალითად, პარტიის წევრმა შ. ნოზაძემ, რომელიც ბაზრის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობაში საშუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული— მეურნეობიდან წაიღო სამშენებლო მასალა, რისთვისაც მას სასამართლომ ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა. კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, სადაც შემდგომ პარტიულ ალრიცხვაზე იმყოფებოდა ნოზაძე, ლმობიერება გამოიჩინა მის მიმართ და სასტიკი საყვედური გამოუცხადა საალრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიის ბაზრის რაიკომმა, იმის ნაცვლად, რომ ეს შეცდომა გამოესწორებინა და შ. ნოზაძე გაერიცხა პარტიიდან კომუნის ტი ს ა თ ვ ი ს უღირსი საქციელის ჩადენისათვის, ძალაში დატოვა პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადწყვეტილება.

მარნეულის რაიკოოპკავშირის ავტოსატრანსპორტო კანტორის გაერაუის გამგე მ. პირიევი პარტიის რიგებიდან გაირიცხა იმისათვის, რომ იგი დიდ უყურადღებობას იჩენდა პარტიული, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისადმი. ეს საშუალებას აძლევდა ცალკეულ მძღოლებს ჩაედინათ დანაშაული, რესპუბლიკის გარეთ გაეტანათ კერძო ტვირთი. პირიევი არა თუ ზომებს არ იღებდა ასეთი პირების წინააღმდეგ, არამედ ხელსაც აფარებდა მათ. ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს ს. ალაგოზიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. იმისათვის, რომ კანტორაში ადგილი მქონდა დარღვევებსა და დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტებს.

საჭიროა კომუნისტი ხელმძღვანელი, რა უბანსაც უნდა უძღვებოდეს იგი, მუდამ მოწინავეთა რიგებში იყოს და მათგან იღებდეს მაგალითს.

ყველა კომუნისტს უნდა ჰაეუნერგოთ ბოლშევიკური იდეურობა, რწმენა და სიმტკიცე, პრინციპულად მოვთხოვოთ დაკისრებული მოვალეობის გულმოდგინედ შესრულება, ავუმაღლოთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

ახალი უკლასო საზოგადოების მშენებლობა ნიშნავს არა მარტო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებას, არამედ იმასაც, რომ სისტემატურად ვზრდიდეთ ჩვენს კადრებს თეორიულად და ვაწრთობდეთ პრაქტიკულად. კომუნისტი მოწოდებულია კარგად ერკვეოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად საკითხებში, სკკპ პროგრამაში, შეგნებულად იყენებდეს მას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამასთანავე მან უნდა ასწავლოს უპარტიოებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ზრდისათვის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. პლენუმზე აღინიშნა ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამიტომ პლენუმმა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა ამამაღლონ დისციპლინა და პასუხისმგებლობა ყველა დარგში, ბოლო მოუღონ უყაირათობას, მფლანგველობას, გადაჭრით იბრძოლონ უმრავლობა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

საჭიროა კიდევ უფრო გაგაძლიერთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბოლომდე ვამხილოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, სრულყოფილ სახალხო და პარტიული კონტროლის მუშაობის ფორმები და მეთოდები. ერთი წუთითაც არ უნდა შეეასუხტოთ მომთხოვნელობა კადრებისადმი, გამოვიჩინოთ შეურიგებლობა ამათ მიმართ, ვინც სისტემატურად არღვევს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, უპატიოსნოდ იქცევა, ეუარად არ იღებს კრიტიკას და ბოლს არ სწავლობს.

ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ჩვენი რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები პირველად პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იბრძვიან ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. პარტორგანიზაციების ბიუროების, პარტიული კომიტეტების მდივნების ვალია მუდმივად აამაღლონ კომუნისტთა ავანგარდული როლი, ყოველდღიურად დაეხმაროს მათ მუშაობაში, მიაღწიონ იმას, რომ ისინი გვიჩვენებდნენ მაღალი დისციპლინირებულობისა და ორგანიზებულობის მაგალითს, სიტყვით და საქმით აღფრთოვანებდნენ მშრომელთა ფართო მასებს.

სამი წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ წულუკიძის სინთეზური მასალების ნაკეთობათა ქარხანა. აქ პოლიეთილენიდან ამზადებენ ექვსი დასახელების სხვადასხვა პროდუქციას. დადგა რა ლენინურ შრომითს ვაჰტზე, საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო სიიუბილეო წელს პროდუქციის კიდევ სამი სახეობა აითვისოს. სურათზე: პოლიეთილენის ფირფიტების საამქროს მოწინავე მუშა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, წულუკიძის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ციალა ლიპარტელიანი. ცვლის დავალებებს იგი მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო ბ. ბერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ცხოვრებასთან კავშირში

◆

გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები

◆

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაერთიანების კლენუმი

რაიონული პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემის პროპაგანდისტებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების ამოცანებს იძლევენ რესპუბლიკური სემინარ-თათბირი, რომელიც 16 მარტს გაიხსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საკრთველოს ფილიალის საკტო დარბაზში. სემინარ-თათბირზე მოწვეული იყოს პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მეთოდური საბჭოების თავჯდომარეები, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მეორე მდივნები და კომკავშირულ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელები.

სემინარ-თათბირი 20 მარტამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში ხისი მონაწილენი მოისმენენ მთელ რიგ მოხსენებებს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების აქტუალურ თემებზე, მონაწილეობას მიიღებენ სემინარების მუშაობაში, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას.

მარტვილ დღეს სემინარის მონაწილეებს წინაშე გამოვდგნენ საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის გიგა ყიფიანის გამგე დ. გოგოხია, რომელმაც გააკეთა მოხსენება „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე ვ. კაკაბაძე, რომელმაც ილაპარაკა პოლიტიკური განათლების სისტემის გამოცდილებაზე და კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების გზების შესახებ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გამრეკელი, რომელიც შეიტყო კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს. ლექცია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუაშ. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიადი თარიღის წინ საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულით გრძნობით ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან იუბილეს. ამ საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის დიდი ჩვენი პრესის — მკითხველთა მეგობრისა და მრჩეველის როლი. დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული კერძოდ რაიონული პრესის წინაშე. ბევრი რაიონული გაზეთი შინაარსიანად, ფართოდ მოუხრობენ მკითხველებს შელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ლენინურ ადგილებზე, მისი დიადი მოძღვრების პრაქტიკულ შედეგებზე. არაერთმა ინიციატივამ და თაოსნობამ, რომელიც საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიბადა, პრესის სამუალებით პოვა ფართო მხარდაჭერა და გავრცელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რაიონული გაზეთების როლის ამაღლების შესახებ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში გახდა სასოფლო-სამეურნეო პრინციპი ამ გაზეთების რედაქციების მუშაკებისათვის.

ეს აქტუალური საკითხები იდგა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაფართოებული პლენუმის დღის წესრიგში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონული, საქალაქო და საოლქო გაზეთების რედაქტორები, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და რედაქციების მუშაკები.

პლენუმი გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გაუსვა „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. ბეჟდლიშვილმა.

მოხსენება „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები და რაიონული პრესა“ გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ დ. ბრმოხია.

— ორი სამყაროს — სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროების იდეოლოგიათა ბრძოლის გაგრძელების პირობებში, — თქვა მომხსენებელმა, — იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი უბანია რაიონული პრესა. იგი დამაჯერებლად აჩვენებს მშრომელთა წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, პროპაგანდას უწევს მოწინავეთა გამოცდილებას, ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლასა და გაფართოებას. რაიონული გაზეთები თავიანთ ფურცლებზე მკითხველებს მოუთხრობენ იმ არაჩვეულებრივ ენთუზიაზმზე, რომელიც დიდ ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებამ გამოიწვია. ფართო და მრავალმხრივია საკითხების წრე, რომლებიც ასახვას პოულობს რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის ნაკლოვანებანიც, რომლებიც ჯერ კიდევ არის რაიონული გაზეთების მუშაობაში. ზოგჯერ გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით მორეხარისხოვან, მკითხველისათვის ნაკლებ საინტერესო სტატიებსა და კორესპონდენციებს. იშვიათად იბეჭდება მასალები პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე, მოწინავე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაზე, არ თვალსაჩინებენ მკითხველთა ინტერესებს. ამასთან გაზეთში დაბეჭდილი ზოგიერთი მასალა ლიტერატურულად გაუმართავია. სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მათი პოლიგრაფიული შესრულებაც. მკრთალი, უღიმღამო, კორესპონდენციები, რომლებიც, ზოგჯერ სამწუხაროდ, გვხვდება, გაზეთების ფურცლებზე, არაფერს მატებს მკითხველს.

რაიონული პრესა ყოველი პატრიოტული მოძრაობის ჭეშმარიტი პროპაგანდისტი და ორგანიზატორი უნდა იყოს.

— ახლა, მთელ ჩვენს ქვეყანაში, — თქვა დასასრულ ამბავ. დ. გოგოხიამ, — ფართოდ გაიშალა პატრიოტული მოძრაობა, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოვლენის გაუმჯობესებისა და მომეჩრნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“. რაიონული პრესის ამოცანაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, თვალსაჩინო ადგილი დაუთმოს საუბარს ამ სფეროში გამოუყენებელი შესაძლებლობების შესახებ, ამხელოს ნაკლი, აჩვენოს მოწინავეთა გამოცდილება.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ლაპიდაური რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ რედაქტორი ბ. კიკილაშვილი, წყალტუბოს რაიონული გაზეთის „დროშის“ რედაქტორი დ. ბაბრიაძე, კასპის რაიონული გაზეთის „განთიადის“ რედაქტორი ბ. კლდეიშვილი, ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ რედაქტორი ძ. სუხმაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. აბაშიძე.

ორგანტრიბმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც დღემდე აქვთ ადგილობრივ გაზეთებს და ზამოაყენეს მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი გაზეთების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

იმის გამო, რომ ადგილობრივი პოლიგრაფიული ბაზა ვერ უზრუნველყოფს კლიშეების ხარისხიან შესრულებას, სასურველად მიიჩნიეს მათი დამზადება ცენტრალიზებული წესით. საქდესის რედაქციამ ეუნრუნველყოს სპეციალისტების მიერ მომზადებული სტატიები იდეოლოგიური მუშაობის შეთოდებზე, სოფლის მეურნეობის საასლებზე, კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე და სხვ. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა უფრო სისტემატურად მიმოიხილონ რაიონული გაზეთები, რაც ავრეთვე ხელს შეუწყობს რაიონული პრესის მუშაობის გაუმჯობესებას.

* * *

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან პლენუმმა გამოიყვანა ი. ხუმბერიძე. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად აირჩეული არიან გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ჯარგარაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ბ. ხუციშვილი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა გაათავისუფლა ლ. საჯაია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრისა და პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისაგან. რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და პასუხისმგებელ მდივნად პლენუმმა აირჩია ზ. გმეტაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ბიბილაშვილმა. (საქდესი).

სტუდენტთა თვითმოქმედება

ოგილვისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრში ორ დღეს მიმდინარეობდა უმაღლესი და სამუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. დათვალიერება მოაწყო საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

დათვალიერება დაიწყო თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლის (ხელმძღვანელი ჯ. ლომთათიძე) და ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა ზ. ჯოლადაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეასრულა უძველესი საწესჩვეულო, შრომითი, საყოფაცხოვრებო სიმღერები და საცეკვაო ნაწილები. თავისი ვოკალური ხელოვნება ცხადყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. კუბლაშვილი), რომელმაც შეასრულა ხალხური „ოდიჟი“, რ. ლაფიძის — „ლაშქრული“ და ფრაგმენტი გუნოს ოპერა „ფაუსტიდან“. დათვალიერების პირველი დღის დასასრულს გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სიმფონიური ორკესტრი, ვაჟთა გუნდი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო, ცალკეული შემსრულებლები, რომლებმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ აგრეთვე თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მოსწავლეებს.

დათვალიერების დასასრულს გამოვიდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი.

დათვალიერების ჟიურიმ კომპოზიტორ მ. ჩირინაშვილის მეთაურობით შეაჯამა სტუდენტთა თვითმოქმედების შეჯიბრების შედეგები.

პირველი ხარისხის დიპლომები მიენიჭათ თბილისის უნივერსიტეტის თვითმოქმედ კოლექტივს, რომლის ხელმძღვანელები არიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი, ასალაზრდათა და სტუდენტთა მე-9 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი თ. ქვეხმეზელი და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჭოხონელიძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდს ი. კუბლაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის პუშკინის სახელობის საესტრადო ორკესტრ „ლაღს“ (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მაჩაცაშვილი), თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლს (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბიოშვილი), ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა ვოკალურ ანსამბლს.

მეორე ხარისხის დიპლომები მიიღეს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა ვოკალურ ანსამბლმა (ხელმძღვანელი ჯ. ლომთათიძე), თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის თვითმოქმედ კოლექტივს (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. წულაძე), თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის გუნდს (ხელმძღვანელი ნ. მჭედლიშვილი) ზუგდიდის კვების მრეწველობის ტექნიკუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი ლ. ციმინტია, ქორეოგრაფი ო. ბულია), ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლს (ქორეოგრაფი ს. თედეიევი), საგარეჯოს პიდრომელიორაციო ტექნიკუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი დ. ივანელაშვილი).

დიპლომებით დაჯილდოვდა 35 ინდივიდუალური შემსრულებელი.

დათვალიერებაზე იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მესვანაძე, ბ. დ. ჯაფარიძეები, შ. ი. ჯანუაშვილი, რ. ი. ფრუშიძე, ვ. ა. ბერძენიშვილი, ა. ნ. ინაური. (საქდესი).

(დასასრული)

———

მუდამ მზად ვართ სამშობლოს დასაცავად!

ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნა შემდეგ ამხ. ა. ა. გრიჩკომ, ხორცელდება მწვავე და დაძაბულ ვითარებაში. ამერიკელი იმპერიალისტები სულ უფრო ფართოდ აღვილებენ ომის ხანძარს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საერთაშორისო რეაქციის მხარდამჭერით ისრაელი აგრესორები სულ უფრო თავხედურ პროვოკაციებს სჩადიან არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, მიმდინარეობს რევანშისტული და ნეონაცისტური ძალების შემდგომი აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიაში. ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც განუხრელად ასორციელებენ საშეიღობო ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ყოველ ღონეს ხმარობენ, ხორციელდება მწვავე და დაძაბულ ვითარებაში. ამერიკელი იმპერიალისტები სულ უფრო ფართოდ აღვილებენ ომის ხანძარს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საერთაშორისო რეაქციის მხარდ

მსოფლიო დღეს

ირლანდიელ კომუნისტთა ყრილობაზე

ბელფასტი, 16 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ მუშაობა დაამთავრა ირლანდიელ კომუნისტთა საგანგებო გამაერთიანებელმა ყრილობამ, რომელშიც გამოაცხადა ირლანდიის მუშათა პარტიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის გაერთიანება და ირლანდიის ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნა. ეს ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო ირლანდიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ორმა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიამ, რომლებიც წარმოადგენენ მშრომელი ხალხის ავანგარდს, მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანონ ღონისძიებანი იმპერიალიზმის, რეაქციის წინააღმდეგ, ქვეყნის ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ირლანდიის კომპარტიის ერთობლივი მანიფესტის პროექტის განხილვამ ცხადყო ოსტერისა და ირლანდიის რესპუბლიკის კომუნისტების სრული ერთიანობა ყველა აღძრულ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხში.

მანიფესტის პროექტის გამომოხსენება გააკეთა ირლანდიის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა მ. ო. რიორდანმა, რომელმაც აღნიშნა, ახლანდელმა ყრილობამ „ცხადყო, რომ მუშათა კლასი სწორად იფასებს ჩვენს გაყოფილ კვეყანაში არსებულ მდგომარეობას". მოხსენებაში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული როლი, რომელსაც ასრულებენ სოციალიზმის ქვეყნები სსრ კავშირის მეთაურობით იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ირლანდიელ კომუნისტები ურყევად იცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულებას და ლენინური მოძღვრების სიწმინდეს.

დიდი აღფრთოვანებით მოისმინეს ყრილობის მონაწილეებმა კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების მისალმება. ოვაციით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. სნეჩუსმა ყრილობას გადასცა სიტყვა — ბარელიეფი ვ. ი. ლენინის გამოსახულებით.

ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა ირლანდიის კომუნისტური პარტიის მანიფესტის პროექტი — ოლტერისა და ირლანდიის რესპუბლიკის დაძაბულობის საბრძოლო პროგრამა, აგრეთვე აირჩია ირლანდიის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტში შეიყარა თვითეული პარტიის ათ-ათი წარმომადგენელი.

ოფიციალური მეგობრული ვიზიტი

ვარშავა, 16 მარტი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის მთავრობის მოწვევით დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით.

წერილი უტანს

კაირო, 14 მარტი. (საკდესი). აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის ბრძოლა იან სმიტის რასისტულ რეჟიმს, რომელმაც როდეზია „რესპუბლიკად" გამოაცხადა.

როგორც მენის საააგენტო იუწყება, აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციამ ამის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ იან სმიტის მთავრობის უკანონო აქტი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებაა და მიზნად ისახავს აფრიკაში იმპერიალიზმის დასაყრდენის შექმნას.

ზიმბაბვეს ხალხს თავისი წარმომადგენლები უნდა ჰყავდეს მთავრობაში, ხაზგასმულია წერილში.

ბგერილი ბგერილ

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საკდესი). ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონისადმი ლაოსის შესახებ.

ამერიკის საინფორმაციო საგენტოებმა აღნიშნეთ „ლეჯი" გადასცეს მოსკოვიდან მიღებული კორესპონდენციები, რომლებშიც დაწვრილებით გაშუქებულია საბჭოთა მთავრობის ახალი საგარეო პოლიტიკური დოკუმენტი.

„საბჭოთა პრემიერმა მოუწოდა ამერიკას შეწყვიტოს ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა. იგი აცხადებს, რომ ამერიკის ინტერვენციის შეწყვეტა უზრუნველყოფს, რომ შენელდეს დაძაბულობა ლაოსში", — აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის საააგენტო.

„საბჭოთა პრემიერი ხაზს უსვამს, რომ მშვიდობის აღდგენისათვის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს კონსულტაციები ლაოსის პოლიტიკურ ძალებს შორის, — წერილში ეუბნება ასოშიეიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტო. ცნობაში „ლეჯი" ასევე ამბობს, რომ ამერიკას ყოველისა სჯერია, რათა „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უახლოეს დროში ბოლო მოუღოს ომის ესკალაციას და მთლიანად და პირობის დაუთქმელად შეწყვიტოს ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა". საბჭოთა კავშირი იწონებს კონტაქტებს პრინციპს სეანანა ფუმასა და სუფანუვონგს შორის, აღნიშნავს ეუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტო.

უნდა შეწყდეს ამერიკის ჩარევა ლაოსის საქმეებში

გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

ბონი, 14 მარტი. (საკდესი). გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მიესალმება მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ ერთმანეთს შეხვდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი. როგორც ხაზგასმულია განცხადებაში, „ამასთან საქმე ეხება ევროპის დაძაბულობის შენელებას, უშიშროებასა და მშვიდობას". მიღწეული შეთანხმება გერმანელთა კომუნისტურ პარტიას მიაჩნია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობისათვის ბრძოლის შედეგად, ბრძოლისა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფართოვდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი ხაზს უსვამს: მშვიდობის ჭეშმარიტი პოლიტიკა პირველ რიგში ნიშნავს, რომ ბოლო მოეღება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრობის წინანდელ კურსს და დაიწყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის ახალი პოლიტიკა. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე.

როგორც განცხადებაშია ხაზგასმული, „დღის წესრიგში დგას ის საკითხი, რომ თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოდ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადოს შეთანხმებანი, რომლებიც სავალდებულოა საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით".

შემთხვევითი როდია, ნათქვამია განცხადებაში, რომ მთავრობათა მეთაურებს შეხვედრის ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა ევროპის მშვიდობის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ახლა ამოცანა ის არის, აღნიშნულია განცხადებაში, რომ ვ. ბრანდტისა და ვ. შტოფის მომავალმა მოლაპარაკებამ ნაყოფი გამოიღოს.

მოკლეს პ. გეორგაჯისი

ნიკოზია, 16 მარტი. (საკდესი). კვიპროსის ყოფილი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი პოლიკარპოს გეორგაჯისი წუხელ ღამით მოკლა უცნობმა პირმა, ნათქვამია მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს.

პ. გეორგაჯისს 8 წლის განმავლობაში ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი და დატოვა იგი 1968 წელს საბერძნეთის პრესის კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც მას ბრალად სდებდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპადოპულოსზე თავდასხმაში მონაწილეობას. ადგილობრივ ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავდნენ, რომ გეორგაჯისსა და კვიპროსის ბერძნულ არალეგალურ ტეროროისტულ ორგანიზაციას „ეროვნულ ფრონტს" შორის უთანხმოება იყო.

გეორგაჯისის მოკვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მაკარიოსმა მოიწვია მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომა.

სიმპოზიუმი ხართუმში

ხართუმი, 16 მარტი. (საკდესი). აქ აიხსნა არაბული ქვეყნების სიმპოზიუმი, რომლის მონაწილენი განიხილავენ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებს, რომლებიც ამჟამად დგას არაბ ხალხთა წინაშე.

ბოლოდ ფაქტები

პარიზი უგაზეთოდ

პარიზი, 16 მარტი. (საკდესი). დღეს პარიზში არ გამოსულა გაზეთები, არ მუშაობს საფრანგეთის წამყვანი დეპეშათა საააგენტოს — ფრანს პრესის ტელეტაიპები. ცენტრალური გაზეთებისა და ფრანს პრესის ეურნალისტები პროფკავშირულ ორგანიზაციათა მოწოდებით 24 საათით გაიფიცნენ, რათა დაიცვან თავიანთი მოთხოვნა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოლაპარაკება პროფკავშირებისა და გაზეთების მფლობელთა წარმომადგენლებს შორის გუშინ სალამოს შეწყდა, რადგან მეწარმენი უარს ამბობენ დაკმაყოფილონ ეურნალისტთა მოთხოვნები.

ნარკომანიის გავრცელება

**ფენე

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი

ხალხის წიაღში იქმნებოდა...

ბელორუსიელ მუსიკოსთა კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დიდი დღესასწაული — ხელოვნების დიდი ფესტივალი გრძელდება. თბილისის ხელოვნების მოყვარულთ შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული მუსიკოსების, მოცეკვავეებისა და შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლას. მრავალფეროვანი საბჭოთა ხელოვნება მთელი თავისი სიდიადით წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე.

ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრის გამოსვლა ერთ-ერთი რგოლია ამ ზეიმისა, და გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც ამ კოლექტივის მიერ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულმა კონცერტმა გამოიწვია.

ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ფუძემდებელი და ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი **იოსებ ჟინოვიჩი.** შემსრულებელთა მაღალ ოსტატობას და ამ კოლექტივის ხელმძღვანელის დახვეწილ გემოვნებას, შემოქმედებით ფანტაზიასა და გამოცდილებას უნდა მივაწეროთ ის დიდი პოპულარობა, რასაც ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრმა მიაღწია.

ამ შესანიშნავ კოლექტივთან ერთად ხშირად გამოსულან კონცერტებზე გამოჩენილი საბჭოთა მომღერლები პეტროვი, ეიზენი, ბოროსენკო, პიკაიზენი და სხვები.

ხალხურ საკრავთა ორკესტრის დიდი და მრავალფეროვანი პროგრამა გამოირჩევა მაღალი მხატვრული და პროფესიული დონით. შესანიშნავად შესრულა ორკესტრმა იოსებ ჟინოვიჩის სოროკესტრო პიესა „მოთხრობა ბელორუსიაზე". ეს ნაწარმოები აგებულია ხალხურ სასიმღერო და საცეკვაო მელოდიებზე.

ფაქიზი გემოვნებით, ინტონაციური დახვეწილობითა და აკადემიურობით გამოირჩეოდა ორკესტრის მიერ შესრულებული უვერტიურა როსინის ოპერიდან „ქურდი კაჭკაჭი". ორკესტრს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი ვალტერ მაცაკანოვი.

მაღალ ოსტატურად, დიდი ტემპერამენტით იქნა შესრულებული ცეკვა „ქართული" ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან".

ორკესტრის საკრავთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ციმბალებს. ეს საკრავი ისევე პოპულარულია ბელორუსიაში, როგორც ჩონგური და ფანდური საქართველოში. ციმბალები სხვა საკრავებისაგან გამოირჩევა რბილი მეტალისებური ელვარადობით, განსაკუთრებული ტემბრითა და დაკვრის სირთულით. ვირტუოზული ოსტატობა და სოცარი სიმსუბუქე იგრძნობოდა პროფესორ ი. ჟინოვიჩის მიერ ი. შტრაუსის ვალსებიდან „პარაფრაზების შესრულებაში.

კოლორიტულ ელვარადობას ანიჭებენ ორკესტრს სხვა ხალხური საკრავებიც: დუღები, ლირა, ბაიანები. ყველა საკრავი რეკონსტრუირებულია პროფ. ჟინოვიჩის მიერ.

ძნელია რომელიმე ნომერი გამოეყო პროგრამიდან, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ მომღერალს **ზინობი ბაბიხ.**

ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვა მსმენელმა მომღერალი პოპულარული რუსული და ბელორუსული ხალხური სიმღერების შესრულების შემდეგ.

მუსიკალობა, ხმის მოქნილობა, ნატიფი გემოვნება, ინტონაციური სიხუსტე, გამომსახველი ფრაზები, აი ის თვისებები, რომლებიც ამ შესანიშნავ მომღერალს ახასიათებს. ცხადია, ერთ განყოფილებაში ისეთი ნაწარმოებების შესრულება, როგორიც არის არიები ვერდის ოპერებიდან „ოტელოდან" და „ტრუბადურიდან", რუდოლფის არია პუჩინის ოპერა „ბოჰემიდან", ლეონკოვალოს „განთიადი" და მრავალი ნეაპოლური სიმღერა, მომღერლის მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე მეტყველებს.

ვუსურვოთ ამ შესანიშნავ კოლექტივს შემდგომი წარმატებები თავის შემოქმედებითს გზაზე.

ე. ჭოხონელიძე.
მუსიკათმცოდნე.

• • •

სურათებზე: ზემოთ მარჯვნივ — ორკესტრის ხელმძღვანელი და დირიჟორი, პროფესორი ი. ჟინოვიჩი; ქვემოთ — მღერის ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტი ზ. ბაბი; უკრავს ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეს ერთი დ ა...

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:0 (1:0). თბილისი. 15 მარტი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ა. ივანოვი (ლენინგრადი).

„დინამო" — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, კუტრავძე, პეტრიაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია;

„ტორპედო" — ლაიზანი (ისაიჩევი), იანეცი, მირონოვი, კრასნოვი, იურინი, ჩუბაკოვი, ლენიოვი, პაისი, შალიმოვი (სპირიდონოვი), ბერშკოვიჩი, სავრენკო.

ფეხბურთის უჩვეულო გაზაფხული გვაქვს — ნაადრევი სტარტი, ჩემპიონატის სიახლენი, ჭირვეული მარტი. ამა თვინ იფიქრებდა, რომ სეზონის გახსნის წინ სტადიონი თეთრ სამოსელში გაეხვეოდა. კარგია, რომ ყველაფერი საკეთილოდ დაგვირგვინდა — გამოიდარა, დათბა და გულშემატკივრებსაც ნანატრი დღე დაუდგათ.

ჩემპიონატის გახსნას ყოველთვის წინ უძღვის საზეიმო ნაწილი — ალამის აღმართვა. ეს ცერემონიალი მეტრეველმა და გერშკოვიჩმა შეასრულეს. სტარტის ორ ჭუოლას მეტოქეთათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირველი, რომ ბრძოლა უკომპრომისო იყო. საერთოდ კი ჩვენ შევეჩვიეთ „ტორპედოსა" და „დინამოს" ისეთ თამაშებს, რომელსაც სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრად თვლიან.

არ შეიძლება ყურადღება არ მიგექცია კაპიტნების — მეტრეველისა და გერშკოვიჩის თამაშისათვის და ერთგვარი პარალელი არ გაგვეკეთებინა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მალე მეტრეველი თავის ადგილს იპოვნის ნაკრებში. ვეტერანმა მართლაც რომ გაგვახარა — მის უზადო ტექნიკას, საზრიანობას, ეფექტურ კომბინაციებს და გოლს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

სწორედ მესამე, დამაგვირგვინებელი გოლის ავტორი ჩინებული რეიდის შემდეგ მეტრეველი გახლდათ. ეს მოხდა მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე. საერთოდ კი შეხვედრას მცირე ეპიზოდების გამოკლებით, წითელ ზოლად გასდევდა დინამოელთა ინიციატივიანი თამაში.

ანგარიში 3:0 დამაჯერებელია, მაგრამ თუ გავიხსენებთ კარის აღების რეალურ შესაძლებლობებს, ეს ციფრი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. პირველი გოლის მახარობელი 34-ე წუთზე კუტრავაძე იყო, შეორისა — გ. ნოდია (68-ე წუთი).

„რა თქმა უნდა, სტარტზე მოპოვებული წარმატება სასიხარულოა, ჩვენ აქ მხოლოდ გვინდა დავძინოთ — ეს ერთი და სხვა მრავალი.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში წარმატება სტუმრებს ხვდათ 4:2.

ვ. გაბელია.

• • •

ამ სურათზე ასახულია თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" კვირის მატჩის ორი მომენტი. ზევით თქვენ ხედავთ, თუ როგორ გაუსხლტა ს. კუტრავაძე მეტოქეს. სწორედ ამის შემდეგ გაიტანა მან გოლი; ქვედა სურათზე — იერიშზეს დინამოელთა კაპიტანი ს. მეტრეველი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფრე ჩემპიონთან

„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:1 (1:1). ქუთაისი. 15 მარტი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ბ. სტრელცოვი (დონეცკი).

„ტორპედო" — გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, ჩხაიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ქორიძე, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა;

„სპარტაკი" — ჟავაზაშვილი, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, ჯალინოვი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, იანკინი (ეგსეევი), სილაკაძე.

ვოხდა ისე, რომ „ტორპედოს" სტარტზე ჩემპიონთან მოუხდა შეხვედრა, ამასთანავე ქუთაისელებს არასახარბიელო ბალანსი ჰქონდათ მეტოქესთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პასუხსაგებ მატჩს ტორპედოელებმა კარგად გაართვეს თავი, ჩემპიონთან ფრე (1:1), ეს ხომ საპატიო შედეგია.

მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. ანგარიში მეოთხე წუთზე ჯალინოვმა გახსნა. 14 წუთის შემდეგ კი ხერხაძის გადაცემა კარგად გამოიყენა ვეკუამ და კეკეზაშვილის კარი აიღო.

დარჩენილი წუთები ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, ზოგჯერ ძალმა იხსნა კარი, ზოგჯერ მცველებმა, და საბოლოოდ ტაბლოზე დარჩა ციფრები — 1:1.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში წარმატება სპარტაკელებს ხვდათ 2:1.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ბელგრადში გრძელდება ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, მიძღვნილი 8 მარტისადმი. გათამაშდა 7 ტური. წინ არიან მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ა. კუშნირი, რომლებსაც ოთხსახეკარ-ოთხნახევარი ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ.

მეხუთე ტურში კუშნირმა მოუგო რამიოკოვსას, გაფრინდაშვილმა კი გადადო პარტია ივანკასთან. მეექვსე ტურში პირიქით მოხდა — გაფრინდაშვილმა დამარცხა რ. ივოვნოვიჩი, ხოლო კუშნირს არ დაუთამაშებია პარტია ნიკოლაუსთან. მეშვიდე ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში, სძლია ვუოლანოვიჩს, კუშნირმა კი უაღმით დამთავრა შეხვედრა ივანკასთან. ამ უკანასკნელს 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ლუბანოში დასასრულს უახლოდება საერთაშორისო ტურნირი ქალაქში. 11 ტურის შემდეგ ლიდერია ბ. ლარსენი — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ფოლფსონს 7 ქულა აქვს.

მატჩები, გოლები, ავტორები

15 მარტს აღმართეს XXXII საკავშირო ჩემპიონატის ალამი. ბარდა თბილისსა და ქუთაისისა, ფეხბურთის მატჩები შედგა სოჭში, ბაქოში, ერევანში, ტაშკენტში.

სოჭში თამაშობდნენ კიევის „დინამო" და უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტი ორჯონიკიძის „სპარტაკი". მატჩის ბედი გადაწყვეტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც მეორე ნახევარში კიეველთა ფორვარდმა ბიშოვეცმა გაიტანა.

მრმშის „არარატი" მასპინძლობდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს. წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 1:0. არმიელთა კარში ბურთი ანდრიასოვმა გაიტანა.

ოდესის „ჩერნომორეცი" ტაშკენტს ეწვია და აქ ბაიქრობა ჰქონდა ადგილობრივ „პახტაკორთან". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

რეკორდული ანგარიში ბაქოში აღინიშნა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტჩისი" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. გაიმარჯვეს ბაქოელებმა 4:0 პირადი გაიტანეს ტუაევმა, შევჩენკომ, სმოლნიკოვმა და ბანიშევსკიმ.

კიდევ ერთი მატჩი შედგა სოჭში. აქ თამაშობდნენ ვოროშილოვგრადის „ზარია" და მინსკის „დინამო". მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. გოლების ავტორები იყვნენ ვასილიევი („დინამო") და საბო („ზარია", 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა).

გამარჯვებულს ოგვეიანებით გავიცნობთ

ფოთი. (სპეც. კორ.). საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი ვადა შორის 31-ჯერ გათამაშდა, მაგრამ აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირველი ადგილი სამს გაეყოს. ასეთ შემთხვევაში დებულება ითვალისწინებს დამატებით მატჩ-ტურნირს. თუ როდის და სად გაიმართება ეს შეჯიბრება, ეცნობა, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ბ. გურგენიძის პარტიებიდან შეიძლება აღინიშნოს სამი: შეხვედრა მ. ტალთან, რომელშიც მსოფლიოს „ეს-ჩემპიონმა, თავის მხრივ, შეწირვების კასკადი განახორციელა, ტექნიკურად საუცხოოდ მოგებული შეხვედრები ს. ჩეტვერიანსა და ი. ჩიქოვანთან. რ. ჯინჯიხაშვილმა ძლიერად წარმართა შეხვედრები თ. გიორგაძესა და ა. ბოკუჩავასთან. ე. უბილავამ, რომელიც ტურნირში დიდი აღმავლობით თამაშობდა, თავი გამოიჩინა მ. ტალთან და ზუსტად წარმართა პარტია ზ. მიქაძესთან.

მაშ ასე, ჩემპიონი არ გამოვლინდა, მაგრამ არის სამი გამარჯვებული — ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი და ე. უბილავა. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვის შემდეგ, როდესაც ფოთის ორგანიზაციებმა მოჰადრაკეები მრავალრიცხოვანი პრიზებით დაჯილდოვეს, ჩვენ ვთხოვეთ ბ. გურგენიძეს აზრი გამოეთქვა შეჯიბრების შესახებ.

— ფოთელებმა ჩვენი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. აქვე გამოითქვა აზრი ფოთში ცნობილი ქართველი ოსტატის ა. ებრალიძის მემორიალის მოწყობის შესახებ, ეს, რა თქმა უნდა, ჩინებული იქნება. მე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ახალგაზრდა მოჰადრაკეების ე. უბილავასა და ს. ჩეტვერიანის წარმატება. ე. უბილავა ბრწყინვალე მონაცემების ახალგაზრდაა და მისგან მომავალში დიდ წარმატებებს უნდა ველოდოთ. ს. ჩეტვერიანის შედეგი თავისთავად მეტყველებს მის ძალაზე — მან ხომ ოსტატის ნორმას 1,5 ქულით გადააჭარბა.

ბ. გამრეკელი.

ოქროს დღეები „შტადტპალეში"

ასეთი წარმატება დიდი ხანია არ ჰქონიათ ჩვენს მძლეოსნებს. ეს მოხდა 14 და 15 მარტს ვენის „შტადტპალეს" უდიდეს სპორტულ დარბაზში, ევროპის პირველ ჩემპიონატზე, რომელშიც მონაწილეობდა 24 ქვეყნის 350 წარმომადგენელი.

10 ოქროს მედალი — ასეთია საბჭოთა მძლეოსნობის ნადავლი ამ ასპარეზობაზე. აქედან ოთხი მედალი მოპოვებულ იქნა პირველ დღეს, ექვსი — მეორე დღეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბირთვს კვრაში პირველობა არავის დაუბრძო ლენინგრადელმა ნ. ჩიჟოვამ. მან ჩვენა შედეგი—18 მეტრი და 60 სანტიმეტრი. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია დახურული შენობებისათვის. წარმატებით გამოვიდა ავრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი სამხტომში ვ. სანე